პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 3 მარტი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 47 (735) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა. ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ. სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განც. ხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ქართული წითელი დივიზიები მხურვალედ ესალმებიან საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიას. ქართული წითელი ჯარი რევოლიუციონურ ფიცს სდებს მის წინაშე, რომ ის მუდამ მხნედ და ფხიზლად იქნება ოქტომბრის მონაპოვართა და საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე.

## საზეიმო შეხვედრა.

2 მარტი ისტორიული დღეა ...ართველოს მშრომელთათ-...

...მას არას დროს არ დაივიწ... ...ენ ქართველი მუშები და ...ეხები. ამ დღეს თბილისის ...ოლეტარიატი და საქართვე-...ოს მშრომელთა წარმომად-...ნლები შეხვდენ საბჭოთა კა-...ირის მუშების და გლეხების ...ლადებს.

...ეს იყო ნამდვილი საზეიმო ...ეხვედრა. როგორც ერთი გა-...ვიდენ ქუჩაზე თბილისის მუ-...ები და მიეგებენ ძვირფას ...უმრებს. აღფრთოვანებას, სი-...რულს და აღტაცებას არ ქო-...ა საზღვარი.

...თბილისი ზეიმობდა ისე, რო-...რც არასოდეს.

...და ეს არ არის გასაკვირი. ...საქართველოს მუშებს და ...ლეხებს ესტუმრენ არა მჩაგ-...ელთა კლასების წარმომად-...ენლები, არა თვითმპყრობელ...ბის ბრჭყვიალა პაგონებიანი ...ტრაპები, არა იმპერიალისტუ-...ი ოკუპანტები, არამედ საბ...თა კავშირის მშრომელთა ...ტერესების ჭეშმარიტი გამო-...ტველნი და დამცველნი. ეს ...რველი შეხვედრა და პირის-...რ გაცნობა იყო, მაგრამ ქა-...თველი მუშები და გლეხები ...რგად იცნობენ საბჭოთა კავ-...რის მესვეურებს დღიდან ...ქტომბრის რევოლიუციის გა-...რჯვებისა. ინტერნაციონალ-...რი სოლიდარობა და ძმური ...მოკიდებულება სხვა ერები-...დმი, მუდამ ახასიათებდა სა-...რთველოს მშრომელთ. თუ ...ინი ჩათრეულ იყვენ ოდესმე ...როვნული შუღლით და გაუ-...ნლობით გამოწვეულ ძმათა ...სხლის მღვრელ ომებში, ამა-...ი დამნაშავენი იყვენ არა ისი-..., არამედ გაბატონებული ...ჩაგვრელთა კლასები და გამ-...ყიდველი მენშევიკები.

მაგრამ იმ დღიდან, რაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა საქართველოს კომპარტიის მეთაურობით დაამხვეს მენშევიკური ძალაუფლება და თვით გახდენ თავის ქვეყნის ბატონ-პატრონი, მას შემდეგ ეროვნულ უნდობლობას და ქიშპობას მოეღო ბოლო და მუშურ-გლეხური საქართველომ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ მშვიდობიანობას როგორც შიგნით, ისე სხვა მეზობელ ერებთან დამოკიდებულებაში. კიდევ მეტი. მან თავისი ბედი მჭიდროთ დაუკავშირა სხვა საბჭოთა ერების ბედს და მათთან ერთად მიიწევს წინ დიად მიზნის—კომუნიზმისაკენ.

და ეს თავისი ინტერნაციონალური სოლიდარობა და ძმური სიყვარული ქართველ მუშებმა და გლეხებმა დაამტკიცეს თავისი ოთხი წლის ბატონობით.

კიდევ ერთხელ 2 მარტს ზედმეტად ამ გარამოებას ხაზი გაუსვენ მათ და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა წინაშე ფიცი დასდეს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან დიდი საბჭოთა კავშირის მთლიანობა და განუყოფლობა.

საბჭოთა კავშირის ცაკის მე-3-მე სესია იწყებს მუშაობას მშრომელთა მასების უსაზღვრო ნდობით და სიყვარულით აღჭურვილი.

კიდევ და კიდევ ჩვენ უსურვებთ მას ნაყოფიერ და წარმატებით მუშაობას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ცაკის მე-3-მე სესიას!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირს და მათ ძმურ სოლიდარობას!

## გროზნო-ფოთის ნავთსადენი.

...ეკონომიურ ჟურნალ გაზე-...ებში ამ უკანასკნელ ხანებში ...კითხველის ყურადღებას იპყ-...რობს მეტათ საინტერესო და ...გულისხმო საკითხი გროზნოს ...ავთსადენის ერთ-ერთ ნავთ-...ადგურში გამოყვანის შესა-...ებ.

...მსოფლიო პროდუქტთა შო-...რის ნავთი ყველაზე მნიშვნე-...ლოვანი და ღირსეული საქო-...ნელია. მასთან იგი დიდი პოლიტიკურ მნიშვნელობის პროდუქტია.

ნავთის გულისათვის ატეხილა მთელი სამხედრო კომპანიები.

მსოფლიო ნავთის მარაგის 32 პროც. ეკუთვნის კავკასიას, ამერიკას, (მექსიკა) 36 პროც, დანარჩენი ნავთის რაოდენობა მოდის სპარსულ-მოსულის რაიონზე და სხვა ქვეყნებში.

ამგვარათ როგორც ვხედავთ, კავკასიაში უდიდესი სიმდიდრეა თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებისათვის აუცილებელი პროდუქტის—ნავთისა. მისი მთავარი ადგილებია აფშერონის ნახევარი კუნძული ბაქო და გროზნო. რადგანაც ნავთს დიდი საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამიტომ, აუცილებელია მისი ექსპორტის ე. ი. გატანის საკითხის მოწესრიგება. რათა ამით შესაძლებელი იყოს მოწესრიგდეს მისი იაფათ გამოტანა ნავთსადგურზე.

ამისათვის კი საჭიროა ნავთსადენის გაყვანა. ეხლა საკითხია როგორი გზით გაყვანილ იქნება ნავთსადენი ერთ-ერთ ნავთსადგურისაკენ გროზნოდან.

სათანადო კომისიის შრომების და გამოკვლევებიდან დამტკიცდა, რომ ნავთსადენის მილის გაყვანა გროზნო—ნოვოროსისკი 776 ვ. შეადგენს გროზნო—ტუაპსე 683.

გროზნო—ყაზბეგი—ფოთი 554,28 ვ.

გროზნო—მამისონი—ფოთი 440 ვ.

ცხადია რომ უახლოესი გზა გროზნო მამისონი—ფოთია და რასაკვირველია ამის გამო ნავთიც იაფი დაჯდება.

ჯერ გამორკვეული არ არის რა გზას არჩევენ. მაგრამ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ უკანასკნელს.

ამ საქმის განხორციელებას დიდი შედეგი მოყვება, რადგანაც ამით საბჭოთა ნავთი თავისი საუკეთესო ხარისხით და იაფი ფასით დაიკავებს პირველ ადგილს მსოფლიო სანავთო ბაზარზე ამიტომ დიდათ გააძლიერებს და წასწევს წინ საბჭოთა კავშირის, სახალხო მეურნეობას.

მეორეს მხრივ თვით ფოთის ეკონომიური მნიშვნელობა ამ პროექტისგანხორციელებით ხომ უზომოთ გაიზრდება.

ი.

# ახალი რადიო-ამბები.

## რეაქციონური აჯანყება ოსმალეთში.

### აჯანყებას მეთაურობს ბრმა-მორწმუნე და მსხვილი ვაჭარი შეიხ სეიდი.

#### მთავრობა აძლიერებს ძალებს აჯანყებულთა წინააღმდეგ.

საფრანგეთის მთავრობამ ნება მისცა ოსმალეთის მთავრობას გაატაროს ჯარები სირიის ჩრდილოეთ საზღვრებისაკენ ქურთისტანის აჯანყების ჩასაქრობად.

ქურთების გენერალი მუსატფ—ფაშა შეუერთდა აჯანყებულებს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აჯანყების მომზადების შესახებ შემდეგი განაცხადა:

„შეიხ სეიდი დადიოდა გენჯის, პირანისა და სხვა რაიონებში და თავს უყრიდა უკმაყოფილო ელემენტებს.

მოძრაობა თანდათან მზადდებოდა აგიტაციის გზით ქურთისტანის ავტონომიის იდეით.

ადგილობრივმა ჟანდარმერიამ უარი განაცხადა აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოსვლაზე და შეუერთდა კიდეც მათ.

აჯანყებულთა ერთი ბელადთაგანი არის პროფესორი ფერი, მეორე მთავარ შტაბის გენერალი—ნეირესი.

რაც შეეხება შეიხ სეიდს, ის თავის დროს სცხოვრობდა სტამბოლში და სწერდა გაზეთებში. ის არის მეტად მდიდარი კომერსანტი (მსხვილი ვაჭარი), ბრმა მორწმუნე და დიდის გავლენით სარგებლობს.

#### კანონის დამატება.

მეჯლისმა მიიღო კანონის დამატება „სამშობლოს ღალატი“-ს შესახებ. ამ დამატების ძალით სამშობლოს მოღალატეებათ ითვლება ყველა ის, ვინც გამოიყენებს სარწმუნოებას პოლიტიკურ მიზნებით. კანონი შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

#### ბრძოლა აჯანყებულების წინააღმდეგ.

მთავრობის ერთმა რაზმმა ორჯერ დაამარცხა აჯანყებულები, მაგრამ ბოლოს გარს შემოერტყა მას ქურთების ჯარი და იძულებული იყო უკან დაეხია. მთავრობა აგზავნის აჯანყების რაიონებში გაძლიერებულ ძალებს.

## პოლონეთის ბანდიტების გასამართლება.

ბელორუსიის უზენაესი სასამართლო შეუდგა პოლონეთის ბანდიტების გასამართლებას.

იმათ მოახდინეს თავდასხმა კაიდანოვის დაბაზე, საბჭოთა ორგანოების მუშაობის შეფერხებისა და საიდუმლო საქმეების მოტაცების მიზნით.

თავდასხმის დროს შეპყრობილ იქნა ორი ბანდიტი—გაიდუკი და ტარნოვსკი, რომლებიც ამ ჟამად საბრალდებლო სკამზე სხედან.

ტარნოვსკის განცხადებით თავდასხმაში მონაწილეობდა 12 კაცი; ამ აღრიცხვაში იყო 9 პოლიციელი, ერთი პორუჩიკი და 2 რებეჟევიჩის სოფლის მცხოვრები. მათ ჯამაგირს გარდა შეჰპირდენ 500 ოქროს მიცემა.

როგორც გამოირკვა ხსენებული ბანდა ღებულობდა დირექტივებს თეთრგვარდიელების შტაბიდან. მათ მრავალი თავდასხმა მოუხდენიათ სხვა და სხვა ადგილას და აპირებენ თურმე მინსკში მატარებლით მიმავალ საბჭოთა დელეგაციაზე თავდასხმას, მაგრამ მოკლე ვადაში ველარ მოუსწრიათ ამ საქმის შესრულება.

ფულით დახმარებას უწევდა მათ ცნობილი რევოლიუციონერი სავინკოვი, პოლონეთის მემამულეები და თეთრგვარდიელთა შტაბი.

ასეთი რაზმი თეთრგვარდიელებს ჰყოლია ოთხასამდი.

გამოძიება დამთავრებულად იქნა გამოცხადებული.

## ებერტის გარდაცვალების გარშემო.

ებერტის გარდაცვალების გამო ბერლინში გამოვიდა სასწრაფო განსაკუთრებული გაზეთები, რომლებიც აუწყებდენ მოსახლეობას ამ ამბავს.

მთავრობის დაწესებულებებმა, უცხოეთის საელჩოებმა და კერძო ფირმებმა დროშები ჩამოუშვეს.

სასწრაფოდ გაიმართა მთავრობის კაბინეტის სხდომა, რომელზედაც რეიხსკანცლერ მარქსმა აღნიშნა ებერტის დამსახურება სამშობლოს წინაშე. დახურულია ყოველგვარი გასართობები. პრეზიდენტის მოვალეობას დროებით ასრულებს ლიუტერი.

## თანაგრძნობის დეპეშა საბჭოთა მთავრობისაგან.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა საბჭოთა მთავრობის სახელით გაუგზავნა შტრეზემანს თანაგრძნობის დეპეშა ებერტის გარდაცვალების გამო.

ამასთან მან ინახულა მოსკოვში მყოფი გერმანიის ელჩი, რომელსაც გამოუცხადა საბჭოთა მთავრობის თანაგრძნობა.

## რა შეუძლიათ სთქვან მუშებმა ებერტის კუბოსთან?

ოთხშაბათს, პრეზიდენტის სასახლეში მოხდება ოფიციალური სამგლოვიარო სხდომა. ებერტს დაასაფლავებენ ჰეიდელბერგში. ოთხშაბათს კომპარტია მოაწყობს 4 საჯარო კრებას, რომლებზედაც განხილულ იქნება შემდეგი თემა: „რა შეუძლია სთქვან. მუშებმა ებერტის კუბოსთან.“

# საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესია.

## ცაკის მესამე სესიის დელეგატები გზადა გზა.

საქართველოში, მე-3-ე სესიაზე მიმავალ დელეგატებს თითქმის ყველა სადგურებზე ხვდებოდა აუარებელი ხალხი და ტაშისცემითა და „ურას“ ძახილით აცილებდა მათ მატარებელს.

სადგურ იზმაში (ხარკოვის გუბერნიაში) მატარებელს დაუხვდა მრავალი ათასიანი ხალხი, რომელიც მოითხოვდა მატარებლის შეჩერება. განუწყვეტელი „ურას“ ძახილით გლეხობამ მიართვა ამხ. კალინინს პურმარილი.

ფანჯარაში გამოჩნდება ამხ. ბუდიონი, რომლის დანახვაზე იგრიალებს ურა და ტაში.

სიტყვებს ამბობენ ამხ. ამხ. კალინინი, უგაროვი, ეგოროვი, ბუდიონი. ამხ. კალინინი უსურვებს გლეხობას „კარგ მოსავალს“.

დონის ბასეინში მატარებლის შეხვედრამ დღესასწაულის ხასიათი მიიღო. მუშებისა და გლეხების დაჟინებითი თხოვნის გამო იძულებული იყვნენ შეეჩერებიათ მატარებელი. სადგურის ბაქანი, სახურავები და რკინის გზის ხაზები გავსებული იყო ხალხით, რომელიც ესალმებოდა საბჭოთა კავშირის ბელადებს.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა დონის მაღაროების მუშათა შეხვედრამ.

მემაღაროენი გამურული ტანისამოსით გამორბოდენ პირდაპირ მაღაროებიდან და წითელი დროშებით უხვდებოდენ მატარებელს. ლაპარაკობდენ ამხ. ამხ. რიკოვი, კალინინი, პეტროვსკი და ჩიჩერინი, რომელთაც აღფრთოვანებით ხვდებოდენ მუშები.

ერთ სადგურზე მუშების მოთხოვნით ილაპარაკა ამხ. პეტროვსკიმ, რომელმაც განაცხადა, რომ მუშებმა და გლეხებმა უნდა გაიცნონ თავიანთი ბელადები, რისთვისაც ინიშნება სესიები ადგილებზე. ტფილისს შემდეგ მორიგი სესია გაიხსნება ხარკოვში, შემდეგ ბელორუსიის რესპუბლიკაშიო.

ამხ. პეტროვსკიმ დაასრულა: „გაუმარჯოს დონის ბასეინის მაღაროების უძლეველ მუშებს!“

დონის როსტოვში დელეგაციას შეეგება ხუთიათასიანი საოლქო და დონის ორგანიზაციების წარმომადგენელთა დელეგაცია.

ამხ. რიკოვმა განაცხადა: „ნება მომეცით მიტინგის სახელით გადავსცეთ სალამი მიერ-კავკასიის ხალხთა კავშირს და განსაკუთრებით საქართველოს.

რიკოვი შეეხო სესიის მუშაობას და სხვათა შორის განაცხადა, რომ ეს მუშაობა მიმდინარე წელში საგრძნობლად შეუმსუბუქებს გლეხობას გადასახადის სიმძიმესო.

შემდეგ ილაპარაკა დელეგაციის რამოდენიმე წევრმა.

საპასუხო სიტყვით გამოვიდენ ნახიჩევანის, ლენინის ქალაქის მუშები და წითელ-არმიელები.

## საბჭოთა კავშირის მთავრობა ბაქოში.

ბაქოს სადგურზე დელეგაციას შეხვდა მოსწავლეობა და მრავალრიცხოვანი მუშათა ორგანიზაციები. მიღებულ იქნა თურქმენთა ეროვნული და ადგილობრივი ნაწილების აღლუმი. მთავრობის წევრები გზა და გზა ჩერდებოდენ და მიმართავდენ მოსახლეობას მისალმების სიტყვებით.

## საზეიმო სხდომა.

გაიხსნა აზერბეიჯანის ცაკის ბაქოს საბჭოს, პროფკავშირთა საბჭოს და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლების, წითელი არმიისა და ფლოტის საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. აღამალი-ოღლიმ. ისმოდა მხურვალე ტაში და ძახილი: „იაშასუნ“ (გაუმარჯოს) და „ურა“.

აღამალი ოღლიმ შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ ეს მომენტი ისტორიული მომენტია: ჩვენ ყველანი განვაგებთ და ყველანი ვმუშაობთ-აი სად არის ჩვენი ძალა“.

შემდეგ ის აძლევს ერთმანეთს ყოფილსა და დღევანდელ ამიერ-კავკასიას და ამბობს: დღევანდელი წესწყობილება შექმნა ჩვენმა ძვირფასმა სტუმრებმა-ლენინის უახლოესმა თანამშრომლებმა, ამ ძველმა ჭეშმარიტმა გვარდიამ.

გაუმარჯოს ჩვენს გვარდიას!

გაუმარჯოს გამარჯვებას მთელი ქვეყნების ბურჟუაზიაზე!

მხურვალე ტაში.

სიტყვა ეძლევა ამხ. კალინინს.

„დღევანდელი დღე— ამბობს ამხ. კალინინი— ძვირფასია იმით, რომ ბაქოს პროლეტარიატი შეხვდა დღეს იმ სათავეს, რომელშიაც თავმოყრილია ჩვენი კავშირის პროლეტარიატის ძლიერება. ჩვენ პარტიას დიდი უპირატესობა აქვს სხვებთან: მუშაკები გაჭირვების წუთებში მთლიანად გადაეშვებიან პროლეტარულ ზღვაში რათა განაახლონ და ახალი ძალა მისცენ ახალ მუშაობას.

ვუსურვებ ბაქოს პროლეტარიატს ახალ წარმატებებსა და გამარჯვებებს. (მხურვალე ტაში და ინტერნაციონალი).

კალინინის შემდეგ ლაპარაკობენ უკრაინის გლეხებისა და მუშების სახელით ამხ. პეტროვსკი და ბელორუსიის სახელით ამხ. ჩერვიაკოვი.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. რიკოვს.

მან დაახასიათა საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო— მდგომარეობა, აღნიშნა ამიერ-კავკასიის ფედერაციის მნიშვნელობა და დასასრულ განაცხადა: „ბაქოს პროლეტარიატი, მთელი არალეგალური პერიოდის განმავლობაში, მთავარი ბაზა იყო ჩვენი პარტიისთვის ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ის დარჩება კვლავ მოწინავე რაზმად სოციალისტურ საზოგადოების მოწყობისთვის ბრძოლაში. (ისმის ტაში და ინტერნაციონალი).

ამხ. რიკოვი ლაპარაკობს საქართველოსა და აზერბეიჯანის შესახებ, რომელთა მიმართ ჯერაც ვერ დამცხრალა დასავლეთ იმპერიალისტების გაუმაძღარი მადა. ბათუმი და ბაქო მათ დიდი ხანია აინტერესებთ, პირველი შავ ზღვაში თავისუფლად მიმოსვლისა და მეორე ბაქოს ბუნებრივი სიმდიდრის—ნავთის ხელში ჩაგდებისათვის. მაგრამ ეს ქალაქები ისეთი ძალაა, სადაც დაყრდნობილია ჩვენი ძალა და ძლიერება და გვაერთებს აღმოსავლეთის ერებთან. ჩვენ ვითვალისწინებთ რა მომავალ ბრძოლას, რომელშიაც უთუოდ ჩვენ გავიმარჯვებთ, მე ღრმა სიხარულით მივმართავ ამხ. ბაქოელებს; „გაუმარჯოს საბჭოთა ბაქოს და საბჭოთა აზერბეიჯანს!“ (ტაში და ინტერნაციონალი).

სიტყვა ეძლევა ამხ. რაკოვსკის, რომელიც აღნიშნავს საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობის ზრდას და ბოლოს ამბობს:

„ჩვენ უნდა ავასრულოთ ლენინის ოთხი ანდერძი: ნაციონალური საკითხი, მრეწველობა, წითელი არმია, მუშათა და გლეხთა კავშირი—აი ის ოთხი ანდერძი, რომელიც ჩვენ დაგვიტოვა ამხ. ლენინმა. და ამათ ასრულების შემდეგ დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ვერავინ შემოგვედავება ჩვენ ბაქოში და კავკასიაში და არ იქნება ადგილი უცხოეთის მანევრებს.

ბოლოს ამხ. რაკოვსკი მიმართავს აზერბეიჯანლებს თურქმენულ ენაზე. მას ხშირად აწყვეტინებენ სიტყვას მხურვალე ტაშით.

შემდეგ ლაპარაკობს ამხ. ბუდიონი, რომელიცათავებს შემდეგი სიტყვებით: ჩვენი არმია უნდა ავაგოთ ისეთ საფუძვლებზე, რომელშიაც ყოველი მოქალაქე მეომარი უნდა იყოს და ყოველი მეომარი—მოქალაქე. ასეთი არმიის ყოლით ჩვენ განვახორციელებთ ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანას—დავიცავთ საზღვრებს და უზრუნველვყოფთ მშრომელთა სახელმწიფოს ცხოვრებას.“

## საზეიმო აღლუმი ტფილისში.

გუშინ დილას მოსკოვიდან ჩამოვიდა საკავშირო მთავრობისა და საკავშირო ცაკის წევრები სპეციალური მატარებლით. ტფილისის და ნავთლუღის სადგურები მოწყობილია ძვირფასი სტუმრების შესახვედრათ. სადგურთან თავი მოიყარა აუარებელმა მუშებმა, რომლებმაც დიდი და მხურვალე ოვაციები გაუმართეს მოსულ სტუმრებს და საყვარელ ბელადებს.

**საპატივცემო აღლუმი.**

საკავშირო ცაკისა და საკავშირო მთავრობის წევრებთან ერთად ტფილისში ჩამოვიდა აგრეთვე წითელი არმიის ბელადი ამხ. ფრუნზეც.

ჩამოსულთა პატივსაცემათ, 2 მარტს გაიმართა ტფილისის გარნიზონის აღლუმი. აღლუმზე მონაწილეობას ღებულობდენ ტფილისში მდგარი ქართული და რუსული ნაწილები.

ნაშუადღევის 1—ლი საათიდან მუშებმა და ჯარის ნაწილებმა იწყეს დენა რუსთ. პროსპ. მიმართულებით. შესანიშნავი ამინდი ხელს უწყობდა, რომ დღეს მიეღო ნამდვილი სადღესასწაულო ელფერი.

აღლუმის მიღება დაიწყო 2 საათიდან, საგანგებოთ მოწყობილ ტრიბუნაზე, რომელზედაც იდგნენ ამხ. ფრუნზე, ბუდიონი, კალინინი, რიკოვი, ორჯონიკიძე, ეგოროვი, და სხვები.

ჯარის ნაწილების დენა გაგრძელდა სად. 4 საათამდე.

**პიონერთა მანიფესტაცია.**

დილიდან ტფილისში დაიწყო პიონერთა მანიფესტაციები. მანიფესტანტები ჩაცმული იყვნენ ლამაზად და სტოვებდენ ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას. დილიდან დაწყებული მანიფესტაციები შეწყდა მხოლოთ აღლუმის დაწყებისას.

საღამოს მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო სადღესასწაულოთ.

## საბჭოთა კავშირის ცაკის მე-3-სესიის გახსნა.

**საზეიმო სხდომა.**

სახელმწიფო ოპერის თეატრი ყოველ მხრიდან გაჩირაღდნებულია ელექტრონით.

ზღვა ხალხი ფუსფუსებს მის წინ. უკვე რვა საათია. სესიის დელეგატები და სტუმრები აჩქარებული ფეხის ნაბიჯით მიექანებიან სხდომის დარბაზში. ორმოცი წუთის განმავლობაში ივსება მთელი დარბაზი. ქანდარები სავსეა სტუმრებით. იშვიათ სანახაობას წარმოადგენს თვით პრეზიდიუმის ადგილი, რომელიც მორთულია დროშებით. დროშებში ჩასმულია ამხ. ლენინის ქანდაკება, რომელიც წარმოადგენს მას ტრიბუნაზე მოლაპარაკეს.

**სესიის გახსნა.**

სრულ ათისნახევარზე ქართულ ენაზე სესიას ხსნის ამხ. მიხა ცხაკაია, რასაც მთელი დარბაზი მხურვალე ტაშის ცემით ხვდება.

„პირველი სიტყვა იმ ადამიანის ხსოვნას ამბობს ამხ. ცხაკაია, რომელიც ჩვენთან არ არის ფიზიკურად, მაგრამ ვინც სულიერად მუდამ ჩვენთანაა.“ მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით პატივს სცემს ამხ. ლენინის ხსოვნას.

მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს.

შემდეგ ამხ. მიხა ესალმება მოკლე სიტყვით სესიას და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას. მისასალმებელი სიტყვა ეძლევა ამხ. სერგო ორჯონიკიძეს ამიერ კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების სახელით, რომელსაც კრება მხურვალე ტაშის ცემით ხვდება.

ამხ. სერგო ამბობს: „ჯერ კიდევ გასულ საუკუნის მეოთხმოცდა ათ წლეებში მჭიდროთ დაკავშირებული იყვნენ ამიერკავკასიის მშრომელნი რუსეთის მუშებთან, მაგრამ სოციალური რევოლიუციის დეზერტირებმა, მუშათა კლასის გამყიდველმა მენშევიკებმა, დაშნაკელებმა და მუსავატელებმა რამოდენიმე ხნით ძალით ჩამოაშორეს საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი რუსეთის პროლეტარიატს.

მაგრამ რუსეთის მუშების, ძლევამოსილი წითელი არმიის და კომუნისტური პარტიის დახმარებით ჩვენ კვლავ ავღმართეთ მენშევიკების მიერ ფეხგათელილი და ტალახში გასვრილი წითელი დროშა.

ჩვენ შევსძელით ეროვნული მშვიდობიანობის და ძმური დამოკიდებულების დამყარება ამიერკავკასიაში.

გაუმარჯოს საბჭოთა ერების ძმურკავშირს!“

ათავებს თავის სიტყვას ამხ. სერგო.

საბჭოთა საქართველოს სახელით სესიას ესალმება ამხ. ს. თოდრია. სტუმართ „მოყვარე ქართველი მუშის და გლეხის სახელით მე სულით და გულით გეუბნებით: კეთილ იყოს თქვენი მოსვლა. დეე თითეულმა თქვენმა სიტყვამ და დადგენილებამ ლახვარი ჩასცეს დასავლეთის იმპერიალისტებს და მათ მოციქულებს—გამყიდველ მენშევიკებს“.

შემდეგ სიტყვა ეძლევა აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. აღამალი—ოღლის.

საბჭოთა სომხეთის სახელით სესიას ესალმება ამხ. ლუკაშინი რომელიც ამბობს „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება, მხოლოდა საბჭოთა რესპუბლიკების მტკიცე კავშირი არის ის გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს თითეულ ერის გაფურჩქვნას და წინსვლასო,“

სესიას ესალმება რუსულ ენაზე ტფილისის პროლეტარიატის სახელით ამხ ლადო სუხიშვილი. შემდეგ სრულიად საქართველოს მუშათა პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს სახელით ამხ. ყურულოვი, რომელიც აღნიშნავს საქართველოს მუშების გმირულ ბრძოლას შრომის ფრონტზე.

საქართველოს მშრომელ გლეხობის სახელით სესიას ესალმება ამხ. გაგლოშვილი რომელსაც მხურვალე ოვაციებს უმართავენ.

სესიას ესალმება მუშა-ყოფილი მენშევიკი ამხ. ძამაშვილი. „მე წარმოვადგენ მუშებს ამბობს ის, რომლებიც ერთხელ და სამუდამოთ დარწმუნდენ მენშევიკების გამყიდველობაში და სამუდამოთ შეაქციეს მათ ზურგი. ბევრია საქართველოს მუშები რომლებიც გხედავენ თქვენ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ორგანოს თავის დედაქალაქში, მეორე ინტერნაციონალმა საზიზღრად უღალატა მუშათა კლასს. მე საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ საქართველოს მუშათა კლასმა სამუდამოთ უარყო მენშევიკების გზა და მტკიცედ დადგა მესამე ინტერნაციონალის პლატფორმაზე“.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით სესიას ესალმება პროფ. ჯავახიშვილი.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით გამოდის მწერალი მაყაშვილი ის აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების დიდ მუშაობას ქვეყნის კულტურულად ამაღლების საქმეში. „ქართველი მწერლები“ ამბობს ორატორი, მთელი თავისი ენერგიით ჩაებმებიან საერთო კულტურულ აღმშენებლობით მუშაობაში მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ“.

საქართველოს მშრომელ ქალთა სახელით სესიას ესალმება ამხ. ნინა იაშვილი.

საქართველოს კომკავშირის სახელით ამხ. დარახველიძე.

მისალმებებზე საპასუხო სიტყვით გამოდის ამხ. კალინინი, რომელსაც ფეხზე ადგომით მხურვალე ტაშის ცემით ესალმება მთელი დარბაზი. ამხ. კალინინი საბჭოთა კავშირის ცაკის სახელით მადლობას უცხადებს საქართველოს მუშებს და თავის მხრივ ესალმება მას და კერძოთ თბილისის პროლეტარიატს. „მე თვითონ ყოფილი თბილისელი მუშა ვარ“ ამბობს ის —„ეს იყო 25 წლის უკან.

ამხ. კალინინი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო თავის გარშემო ყველა კულტურული მეცნიერული ძალების შემოკრება.

„ხუთი წელი ინტელიგენცია განზე იდგა. ის ასე ვსთქვათ ისვენებდა. ეხლა ის მოვიდა ჩვენთან. მას მართებს რაც შეიძლება ენერგიულად იმუშაოს, ვინაიდან მან უნდა აანაზღაუროს 5 წლის უმოქმედობა.“

შემდეგ ამხ. კალინინი, მოკლეთ ჩერდება იმ ამოცანებზე, რომელიც სდგას მესამე სესიის წინაშე.

ამხ. კალინინის შემდეგ ილაპარაკეს სოციალისტური უკრაინის სახელით— ამხ. პეტროვსკიმ, საბჭოთა ბელორუსიის თავმჯდომარემ ამხ. ჩერვიაკოვმა და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა.

ღამის პირველის ნახევარზე საზეიმო სხდომა დაიხურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახაზინო ქონებას მოვლა უნდა.

ხშირად ზოგიერთი წითელ არმიელები მლიერ ურადღებოთ ეპყრობიან სახაზინო ქონებას. ეს უშვებელია.

თხელ და სამუდამოთ უნდა შევიგნოთ ყველამ. ამ რასაც ჩვენ ვხმარობთ და რაზედაც ხელი გვიდია, ხალხის კაპეიკებიდან არის შეძენილი. მაშადამე მას მოვლა და ყურადღებით მოპყრობა და.

ამას წინად არტლეგიონის პირველი ბატარეის ერთ წითელ არმიელს მიჰყავდა ოთხთვალა, მელსაც უკანა ბორბალი დასმრობოდა და ამხანაა ეს ვერც კი შეამჩნია.

თითქმის ნახევარი ვერსი გაიარა ასე და ალდ ვერც გაიგებდა, რომ გზაზე მომავალ მილიონერს არ ეთქვა.

ასეთი უგულო და უყურადღებო წითელ-არმიეი მშრომელ ხალხს და მის ხელისუფლებას ზარას მეტს ვერაფერს მისცემს. ხშირად არის შემხვევა აგრეთვე, რომ ზოგიერთი არმიელები ახად გამზადებულ ოთხთვალას დაამსხვრევენ რამეს და ორე დღეს ისევ გასაკეთებელი ხდება.

ყველაფერი ეს-გაკეთება და სხვა მოითხოვს ფულს, რომელიც ისევ ჩვენი მომმე მშრომელი ხალხის ჯიბიდან ამოდის. ესეც, რომ ასე არ იყოს ვალებული ვართ, იმ საქმეს და ნივთს, რომელიც ჩვენ აბარია საკუთარი თვალის ჩინივით მოუაროთ. ლა ისინი გამოგვადგებიან ჩვენი მტრების წიაღმდეგ.

ცუდია ის წითელი არმიელი, რომელიც სიფრთხილით არ უვლის სახაზინო ქონებას.

ასეთს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს რიგებში!

წ. არმ. მ. ცქიფურიშვილი.

# წითელი არმიის 7 წლის თავი მე-6-სე ლეგიონში.

გათენდა 23 თებერვლის დილა.

წითელ-არმიელები არაჩვეულებრივი სიხარულით ახმაურდნენ, ყველა ასეულები სუფთადაა.

ლენკუთხეებში ეწყობა მხატვრული სურათების და ლოზუნგების გამოფენა. შუადღის საათზე მუსიკის ხმების ქვეშ ობრათ გამოეფინენ ამხანაგები ლეგიონის ეზოში.

ყველამ იცის რომ უნდა გაიმართოს სხვა და სხვა გათამაშება, შეჯიბრებები და თვითეული მათგანი დიდი ინტერესით უცდის მას.

აღსანიშნავია განსაკუთრებით ფიზ-კულტურის დარგში წრის პრაქტიკული ნამუშევრები.

დღის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ აღნიშნულ დარგში საქმიანობა ინტენსიურია და კარგ იმედებს იძლევა.

მოტანილია ეზოში წითელი გადაკრული მაგიდა სხვა და სხვა საჩუქრებით პოლიტ-ლატარეის გასათამაშებლათ.

წითელ არმიელები ერთმანეთს ეჯიბრებიან ცოდნის და პირველობის გამოჩენაში. ყველას უნდა საჩუქარი მიიღოს.

სპორტიული შეჯიბრების შემდეგ გაიმართა პოლიტ-ლატარეია-სხვა და სხვა პოლიტ შეკითხვების სახით, რის შემდეგ წითელ არმიელები და საჩუქრებული იქნენ სათანადოთ.

**მუშებთან.**

ნაშუადღევს საათის 4ზ-ე ლეგიონის სრული შემადგენლობა მწყობრათ, მუსიკით გაემგზავრა ლეგიონის მიერ კავშირდაჭერილი სამოქალაქო ორგანიზაციის-წყალსადენის მუშებთან და შეერთებულად გაიმართა მათივე კლუბში საზეიმო სხდომა.

საქ. გასაბჭოების 4-ხი წლის თავის შესახებ ილაპარაკა ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ამხ. ქვანიამ.

ის შეეხო ამ ოთხი წლის განმავლობაში მუშურ გლეხურ ხელისუფლებს მიღწევებს. მოხსენებამ დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვა და მრავალი შეკითხვები გამოიწვია

არმიის 7 წლის თავის შესახებ მოხსენება გააკეთა ლეგიონის სამხკომმა ამხ. ბერიძემ, რომელმაც დაწვრილებით აღნიშნა წითელი არმიის წარმომშობი პირობები, სამოქალაქო ომიანობა, ამ ომიანობაში წითელი არმიის სული, მისი მიღწევები და დასასრულს შეეხო მშვიდობიანურ მომენტებში წითელ არმიის ახალ ტერსისტემას და მის მნიშვნელობას.

მოხსენების ირგვლივ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „წყალსადენის მუშების შემადგენლობა მე-9-ე ლეგიონის სრულ შემადგენლობასთანერთად გულითადი სიამოვნებით აღნიშნავსდღეს სწაულთან ერთად წითელი არმიის განვლილ ნაბიჯებს ხელისუფლების დასაცავად და რევოლიუციონურ ფიცსა სდებს, რომ ხელი შეუწყოს წ. არმიის რიგების გამტკიცება-გამაგრებას რათა უზრუნველყოს საბოლოოთ მუშურ-გლეხური თავისუფლება.“

ბოლოს ადგილობრივათ ნაჩვენები იქნა კინო სურათები „არსენ ჯორჯიაშვილის“ ცხოვრებიდან, რის შემდეგ მთელი მუშები ლეგიონის შემადგენლობასთან ერთად გამოემგზავრენ ჩვენი წითელი ყაზარმისაკენ.

**ისევ ყაზარმაში.**

ყაზარმაში მოსვლისას მუშები დიდი ინტერესით შეუდგენ ჩვენი ასეულების მდგომარეობის და ყოფა ცხოვრების გაცნობას და ყაზარმებში მხატვრულათ მორთული სადღესასწაულო ლენკუთხეების დათვალიერებას. რის შემდეგ ძვირფასი სტუმრები—მუშები გაწვეულ იქმნენ კლუბში გამართული საღამოზე დასასწრებლად.

უნდა აღინიშნოს რომ საღამომ ძალზე დამაკმაყოფილებელი სიამოვნება არგუნა ყველას და მუშებმა იმედი გამოსთქვეს, რომ მომავალში უფრო განამტკიცებენ მჭიდრო დამოკიდებულებას ჩვენთან, რათა სავსებით გაიზიარონ ჩვენი ყოფაცხოვრების დარგში ჭირი და ლხინი და ხელი შეუწყონ საერთოდ მეგობრულ დამოკიდებულების განმტკიცებას.

ვ. ლორთქიფანიძე.

# როგორ ჩავატარეთ 25 თებერვალი.

25 თებერვალს ტფილისის 1-ლ. ოქტომბრის სახელობის მაღალ ტიპიან სასწავლებელში მსმენელების მიერ მოწვეული იქნა საზეიმო კრება. კრებას დაესწრო როგორც სასწავლებლის მთელი შემადგენლობა, აგრეთვე მრავალი გარეშე პირებიც და მათ შორის ერთი მოხუცი გლეხი თავისი ცოლით, რომლებსაც შემთხვევით გაუვლიათ გზათ და შემოსულან. საზეიმო კრების პრეზიდიუმში შევიდა წინადადება, რათა გლეხსა და მისი ცოლისათვის მიეცათ საპატიო ადგილი პრეზიდიუმში. წინადადებას კრება სიხარულით შეხვდა. აღსანიშნავია ის რომ, გლეხი დიდი განცვიფრებაში მოვიდა ამ გარემოებით და სიხარულის ღიმილი უთამაშებდა სახეზე.

ადგილობრივი კომ-უჯრედის სახელით ილაპარაკა 25-თებერვლის მნიშვნელობაზედ ამხ. სვანიძემ. ახ. ლ. კ. კ. სახელით (რუსულ ენაზედ) ამხ. ზიბროვმა. ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მასწავლებელი სისოტკინი, რომელიც შეეხო მენშევიკების ბატონობის ყველა მხარეებს საქართველოში 3-წლის განმავლობაში და საბჭოთა ხელისუფლების მიხწევებს 4-წლის განმავლობაში. კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით. შემდეგში იქმნა წარმოდგენილი პიესა „რევოლიუციის მოლოდინში“. შემდეგ წაკითხული იქნა გურული და იმერული სცენები თვით მსმენელების მიერ დაწერილი ლექსები.

მსმენელი გ. მარგიშვილი.

# საკავშირო კომისიის მუშაობა.

3-მე ქართულ ლეგიონში არსებობს საკავშირო კომისია, რომელსაც ევალება კავშირის დაჭერა სამოქალაქო და ჯარის ორგანიზაციებთან, შეფობის აღება სოფელზე და წითელ არმიელების ყოველ გვარი საჭირობოროტო საკითხების გამორკვევა და მოგვარება.

სულ ორი თვეა რაც კომისია არსებობს ლეგიონში და ამ ხნის განმავლობაში მან კავშირი გააბა სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებთან. 22 თებერვალს პირველად მოეწყო 3-მე რუსის პოლკთან გაცნობა. კომისია ამასთანავე ღებულობს წერილებს და საჩივრებს წითელ არმიელებიდან სხვა და სხვა საკითხზე, როგორიც არის სასურსათო გადასახადი, წერილების მიუღებლობა, ჯარში უკანონოდ გამოყვანის და სხვა, რომელიც ეგზავნება თემ. კომებს და მაზრ. აღმასკომებს, მაგრამ სათანადოთ არ აქვს მიქცეული ყურადღება ადგილებიდან.

**საშეფო საქმე.**

ლეგიონმა 3-მე რუსულ ლეგიონთან ერთად აიღო შეფობა სოფ. წყალტუბოზე. კომისიას ქონდა გაერთიანებული სხდომა 17 თებერვალს, სადაც დადგენილ იქნა გაეგზავნოს წყალტუბოს ღარიბ მოსწავლეებს, რვეულები 100 ცალი, ფანქრები 50 ცალი, კალმის ტარები 30 ცალი, კალმები ერთი კოლოფი, სამელნეები 8 ცალი და მელანი ერთი ბოთლი.

სკოლისა და ბიბლიოთეკისათვის ბელადების სურათების 7 ცალი, პლაკატები და ბროშურა, ჟურნალები, აგრეთვე გამოუწერეთ პირველ მარტიდან გაზეთების: „კომუნისტი“ 4 ცალი, „ზარია ვასტოკა“ 3 ცალი, „ახალი სოფელი“ 5 ცალი და ბიბლიოთეკიდან გაეგზავნა გაზეთები „წით. არმიელი“ და „წით. ვარსკვლავი“.

ამ დღეებში ვაპირებთ შეფად აყვანილ სოფელში წასვლას რომ გავეცნოთ და გამოვარკვიოთ ადგილობრივად მდგომარეობა. შემდეგ შეძლების დაგვარად დავეხმარებით.

მორიელი.

# პარტიული ცხოვრება

## ქართულ მეორე ტერდივიზიის პარტორგანიზაციებში.

**(საუბარი დივიზიის პარტკომისიის პასუხისმგებელ მდივან ამხ. ტულიშვილთან.**

დივიზიის პარტკომისიის საქმიანობაში მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დივიზიის ნაწილები ძლიერ დაცილებული არიან პარტკომისიიდან და ფაქტიურად ის მოკლებულია შესაძლებლობას საჭირო ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ.

არიან ისეთი ნაწილები მაგალითად, რომლებიც რკინის გზის ლიანდაგიდან იმყოფებიან 127 ვერსის მანძილის დაცილებით.

გასასინჯავია მხოლო ერთი უჯრედი (შტაბის უჯრედი) უჯრედის სხდომაზე უჯრედის მომავალ გასინჯვის საკითხი ვრცლად იქნა გაშუქებული პარტკომისიის ერთ ერთი წევრის მიერ.

წითელ-არმიელთა უჯრედებში კი მომავალ გასინჯვის შესახებ მოხსენებები ჯერ-ჯერობით არ გაგვიკეთებია.

საერთოდ აღნიშნულ გასინჯვას ძლიერ უშლის ხელს გასასინჯავათ ერთი დივიზიიდანმეორეში მოულოდნელად გადაყვანა.

პარტიაში შესვლის მსურველები ცვალებად შემადგენლობის შორის ძლიერ ბევრი არიან, მაგრამ პარტიაში მიღებას დივიზიის პარტიული კომისია დიდი სიფრთხილით ეკიდება და წინასწარ აწარმოებს ცვალებად შემადგენლობის დაწვრილებითი შესწავლას.

სამოქალაქო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში ვიმყოფებით. ჩვენი ნაწილების პოლიტხელები ადგილებზე ხშირად შედიან ადგილობრივ პარტიული და ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირების კომიტეტებში წევრების.

აქტივის საგარნიზონო კრებაზე მოწყობილი იქნა მოხსენება ლენინიზმისა და ტროცკიზმის შესახებ. გადაწყვეტილია ეს საკითხი უფრო დაწვრილებითი შესწავლის მიზნით გადატანილი იქნეს უჯრედებში და შემდეგ კი გამოტანილი იქნეს გაერთიანებულ ღია კრებებზე.

დივიზიის პარტკომისიის მუშაობა ძლიერ სუსტად შუქდება პრესაში (შემთხვევითი შენიშვნები ადგილობრივ გაზეთ „წითელ ვარსკვლავში“) მომავალი გასინჯვა სრულიად არ არის გაშუქებული.

დივიზიის პარტკომისიის სხდომებს ესწრებიან ადგილობრივი პარტიული და სხვა ამხანაგები, რომლების საქმეებიც იქ ირჩევა.

რავიჩი.

# მეოთხე ლეგიონის 1-ლი კომუჯრედი.

20 თებერვალს შესდგა კომუჯრედის მორიგი ღია კრება, დაესწრო აუარებელი უპარტიო ამხანაგები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

მოხსენება წითელი ლაშქრის მეშვიდე წლის თავის შესახებ; მოხსენება საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავზე და მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ბიურო კოლექტივის მდივანმა ამხ. ქალიაშვილმა.

მომხსენებელმა მოუწოდა ამხანაგებს დაწვრილებით შეისწავლონ წითელი არმიის ისტორია.

ამხანაგი ეხება თებერვლის რევოლიუციას, კომპარტიის სიძლიერეს ესერების ბატონობის დროს და სამზადისს ოქტომბრის რევოლიუციისათვის. მუშების და გლეხების შეიარაღებას და წითელი გვარდიის მოქმედებას, რის შემდეგ გადადის წითელი არმიის შექმნაზე. ფართოდ შეეხო წითელი არმიის ისტორიას, აღნიშნა თუ რამ აიძულა საბჭოთა ხელისუფლება რეგულიარულ წ. არმიის შექმნისათვის.

ამხანაგი დაწვრილებით ჩამოსთვლის თუ რა გააკეთა წ. არმიამ და ვინ შედიოდა წითელ არმიაში.

საქართველოს გასაბჭოების შესახებ მოხსენებით გამოვიდა პოლიტხელი ამხ. კაკაბაძე.

მომხსენებელი ეხება თებერვლის რევოლიუციას და მენშევიკების გაბატონებას საქართველოში, მათ მუშაობას და მოქმედებას სამი წლის განმავლობაში, თუ რა მისცეს მათ მუშებს და გლეხებს—განათლების, სამეურნეო—აღმშენებლობითი და მიწის რეფორმაში და სხვა.

შემდეგ გადავიდა საქართველოს გასაბჭოებაზე და შეეხო საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებას ამ ოთხი წლის განმავლობაში.

ორივე მოხსენების ირგვლივ გამოტანილი იქნა შესაფერისი რეზოლიუცია.

სამხკორი ჯლანკი.

## სამხედრო პოლიტიკურ სკოლის ბიბლიოთეკა.

მიუხედავათ იმისა, რომ სამხედრო პოლიტიკურ სკოლაში საბიბლიოთეკო საქმე სამაგალითოდ უნდა იყოს დაყენებული, სიბამდვილეში მეტად არასასურველ მოვლენასა აქვს ადგილი. ამ სკოლის ბიბლიოთეკა—სამკითხველოში სრული ქაოსია გამეფებული.

ბიბლიოთეკის არც ტეხნიკური მხარე და არც აქედან გამომდინარე იდეური მუშაობა არა დგას სასურველ სიმაღლეზე.

სულ მოიპოება 600-ე ტომი წიგნი რუსულ-ქართული, მაგრამ არც ერთ მათგანს არა აქვს შედგენილი საკატალოგო ბარათი, არც ერთი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო თვალსაზრისით სწორეთ, ერც ერთ მათგანს არა აქვს წესიერათ შედგენილი ფორმულიარი და სხვა... წიგნები არ არიან საინვენტარო დავთარში გატარებული, რაც შეუძლებლად ხდის მათ სისწორით აღრიცხვას. მართალია არის ორი წიგნი საინვენტარო დავთრის სახელწოდებით, მაგრამ შედგენილია მეტად უთავბოლოთ და არ იძლევა დაახლოებით წარმოდგენასაც კი—ბიბლიოთეკის წიგნების ქონებაზე.

არც ზედნადებების მდგომარეობაა სახარბიელო. არც ერთ მათგანზე არ არის წიგნის მიღება დადასტურებული სათანადო საინვენტარო ნომრით (ისეთები, ცხადია რომლებიც „გატარებულია"...). წიგნები გაცემულია უწესრიგოთ და არავითარი ფორმა არ არის დაცული. ასეთი დაუსაბუთებული ფურცლებით გაცემულია თითქმის ორასამდე წიგნი.

არც ბიბლიოთეკის შენობაა მაინც და მაინც ქებული, მაგრამ სკოლაში არ შეიძლება უკეთესი ბინის შოვნაც... თაროები და სხვა ინვენტარი საკმაოთაა, მხოლოთ ნაკლულევანებაა სურათების ჩარჩოების. ბიბლიოთეკა მორთულობის მხრივ ღარიბია, მაგრამ ეს აიხსნება სკოლის საერთო მატერიალურ სივიწროვით. როგორც სკოლის, ისე სამნეო ნაწილის უფროსი საკმაო ყურადღებით ეპყრობიან ბიბლიოთეკას და დარწმუნებული უნდა ვიყოთ ისინი არაფერს დაიშურებენ ბიბლიოთეკისათვის, რაც მათზეა დამოკიდებული...

ბიბლიოთეკაში დამხმარეთ მუშაობს ერთი კურსანტი. ამ ცოტა ხანში კიდევ გამოვყოფთ რამოდენიმეს—მაგრამ ბიბლიოთეკის მუშაობის გამოსასწორებლათ ესეც ცოტაა... საჭიროა აქ სათანადო შტატით იქნეს განწესებული კიდევ ერთი ბიბლიოთეკარი, რომ ხანგრძლივი, სისტემატიური მუშაობითა და სათანადო ორგანოების დახმარებით სამაგალითოდ მოეწყოს საბიბლიოთეკო მუშაობა.

ეხლა ჩვენ ვატარებთ დიდ კომპანიას „წიგნის დღის" სახით და სასურველია ამასთან დაკავშირებით ყველამ დიდი ყურადღება მიაქციოს ამ სკოლის ბიბლიოთეკას და ყოველმხრივ დაგვეხმარონ...

ჩვენი მუშაობა და ენერგია უქმათ არ ჩაივლის...

**გრიან.**

## ამბები სოფლებიდან

**დაბახანის აშენება ონში.**

რაჭის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა შეუდგეს ონში დაბახანის (ტყავეულის საკეთებელი ქარხანის) აშენებას.

**აბანო სოფლად.**

სოფ. ასკანის (გურია) გლეხებმა დაადგინეს წყალსადენის გაყვანის თანავე შეადგინონ სასოფლო აბანოს აშენებას.

**„რემედასი" სოფლად.**

სოფ. სართიჭალაში დაარსდა რევოლიუციისათვის მებრძოლთა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოების განყოფილება. გლეხები დიდის ხალისით ეწერებიან საზოგადოების წევრებათ.

**ხიდი ჩოლაბურზე.**

მდინარე ჩოლაბურზე (შორ. მაზრა) ხიდის აგება სწარმოებს სასწრაფო წესით. უმთავრესი სამუშაოები უკვე შესრულებულია.

**ლიერის გაჩენა.**

მანგლისის რაიონში თავი იჩინა ლიერმა. ტფილისის ჯანმრთ. განყოფილებამ უკვე მიიღო სათანადო ზომები.

## სამხედრო საქმე

### ძიება.

ძიება არის ჯარების საბრძოლო ერთ-ერთი მოქმედებათაგანი ომის დროს.

ძიება საჭიროა იმისათვის, რომ მუდამ და ყოველთვის ვიცოდეთ, თუ სად არის მტერი, რა ძალის არის და რას აკეთებს.

ამისათვის, ძიება უნდა იყოს მუდმივი და განუწყვეტელი.

ძიების საშუალებით ჩვენ გვაქვს წარმოდგენა იმ ადგილმდებარეობაზედ, რომელზედაც, მოგვიწევს მოქმედება. ძიება გვაძლევს ცნობებს, თუ როგორია გზები ჩვენსა და მტერს შორის; არის თუ არა ხიდები, რომელ დარგის ჯარს შეუძლია გაიაროს ზედ; რა მდგომარეობაშია ისინი, საჭიროა თუ არა შეკეთება. ძიება გვაცნობს ადგილობრივი მცხოვრებლების ვინაობას, მოწინააღმდეგენი თუ მომხრენი არიან ჩვენი. ძიება იკვლევს თუ რა და რა სურსათ-სანოვაგე და საკვები შეგვიძლია ვიშოვოთ ადგილობრივ: არის თუ არა სასმელისათვის ვარგისი წყლები; იშოვება ბინები ჯარების მოსათავსებლათ და სხვა.

ჯარის არც ერთ ნაწილს არ შეუძლია დაიწყოს საბრძოლო მოქმედება, თუ მას წინ ძიების საშუალებით თვალი არ აქვს ახელილი.

ვინ აწარმოებს ძიებას?

ძიებას აწარმოებენ: ავიაცია, ცხენოსანი ჯარი, ქვეითი ჯარი, ჯავშნოსნები და არტილერია. ერთი სიტყვით თითქმის ყველა დარგის ჯარები, მხოლოდ მათ მიერ წარმოებული ძიება განსხვავდება ერთი მეორესაგან.

ავიაცია აწარმოებს შორს მანძილზე, რადგანაც მისი სისწრაფე უდრის საათში 150—200 კილომეტრს.

მას არ შეუძლია იმუშავოს ნისლიან დღე და ღამეში. მისგან ადვილათ შეიძლება დამალვა ტყეში, ღრეში, სოფელში.

მას არ შეუძლია ტყვეების აყვანა, რომ დაკითხოს ისინი.

მის დანაკლისს ამ შემთხვევაში ავსებს ცხენოსანი ჯარი. რაც დარჩება დაუხედავი ავიაციას, მას ცხენოსანი ჯარი ზვერავს. ის მოქმედებს ყოველგვარ ამინდში, დღე და ღამე. მას მტერი ვერ დაემალვის ვერსად.

მას შეუძლია ბრძოლით აიღოს მტრის მიერ საჩქაროთ გამაგრებული ადგილები, ჯავშნოსნების საშუალებით, და ტყვეების გამოკითხვით, გამოარკვიოს მდგომარეობა.

ამნაირათ ავიაცია, ცხენოსანი ჯარი და ჯავშნოსნები ავსებენ ერთი მეორეს დანაკლისს და წარმატებით აწარმოებენ ძიებას შორს მანძილზედ.

ქვეითა ჯარი წარამოებს მხოლოდ მახლობელ ძიებას, 8 კილომეტრამდის თავის ადგილიდან.

მისი ძიება უფრო დაწვრილებითი და ნამდვილია. არც ერთი ორმო, არც ერთი ბუჩქი და არც ერთი სახლი არ გადურჩება ქვეითა მზვერავს გაუჩხრეკავი.

ამისათვის შეიძლება თავისუფლათ ითქვას, რომ სადაც ქვეითა ჯარის მზვერავი გაივლის, ის ადგილი უკვე თავისუფალია მტრისაგან.

არტილერიის ძიება გამოიხატება უმთავრესათ ბატარეებისათვის საბრძოლოთ დასალაგებელ ადგილების გამონახვაში და სათვალთვალო წერტის პოვნაში.

მისი ძიება არ არის იმდენათ სახიფათო, რადგან ხდება ყველა ზემოხსენებულ ძიების ზურგში. თუმცა მათაც ხშირათ უწევთ, აწარმოოს ძიება მტრის ძლიერ ცეცხლ ქვეშ.

**ი. დოლიძე.**

## ახალი ამბები.

— **წითელი არმიისა და ფლოტის სახლი.** გადაწყვეტილია ახლო ხანში ქართ. დივ. წითელ-არმიელთა ცენტრალური კლუბი გადაკეთდეს წითელ არმიისა და ფლოტის სახლის ქართულ განყოფილებათ.

— **პური ბამბის საფასურათ.** ბამბის მთავარი კომიტეტის მიერ ბამბის რაიონებში გაიგზავნა 317 ვაგონი პური, რომელიც დაურიგდებათ ბამბის წარმოებლებთ ფულის მაგიერ.

— **ცეკავშირის წარმოება.** საანგარიშო წლის პირველი მეოთხედის განმავლობაში ცეკავშირს გაუცია 1. 415. 160. მანეთის სხვა და სხვა საქონელი.

— **წიგნების გამრავლება ბიბლიოთეკებში.** წარსული წლის განმავლობაში ტფილისის ბიბლიოთეკებში ირიცხებოდა 73. 433 წიგნი, ნაცვლათ წინა წლის 66. 589 წიგნისა.

— **უმუშევართა დაზღვევა.** უმუშევართა დამზღვევი განყოფილება შეუდგება დახმარების გაცემას 1-ლი კატეგორიისათვის 8 მან. 25 კ. და მეორესათვის 5 მ. 80 კ.

— **სასაკლაოზე.** წარსული წლის განმავლობაში ტფილისის სასაკლაოზე დაკლულა 123. 876 სული საქონელი.

— **პოლიტ—განყოფილების სარედაქციო კოლეგია.** ამ დღეებში გამოუშვებს შემდეგ სახელმძღვანელოებს: 1) პოლიტიკურ და საზოგადო საგნების სწავლების ინსტრუქციები და პროგრამები სამხედრო სკოლებისათვის.

2 ქართული ენის ქრესტომატია მეთაურთა და პარტიულ სკოლებისათვის.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**მუშის ძვირფასი გამოგონება.**

კურსკის მუშამ- გიდრასოვმა აღმოაჩინა ისეთი საშვალება, რომლის შემწეობითაც მან შესძლო თმის ხელსახოცების დამზადება. ეს ხელსახოცები ძლიერ საჭირო არიან ერბოს დამზადებულ წარმოებაში. გიდრასოვმა ისინი დაამზადა ცხენის თმისაგან. ჩვეულებრივად ასეთი ხელსახოცები (სალფეთკები) მზადდებოდენ აქლემის თმისაგან და შამოდიოდა რუსეთში საზღვარ გარეთიდან. თავისი ღირსებით გიდრასოვის წესით დამზადებული ხელსახოცები სრულიად არ ჩამოუვარდებიან უცხოეთიდან შამოტანილ ხელსახოცებს და ამავე დროს 40 პროცენტით უფრო იაფი ეღირება.

გიდრასოვის ხელსახოცების ხმარებაში შამოღებით, მხოლოდ ერთ 1925 წლის განმავლობაში შეიძლება ეკონომია ეყოს მთელ საბჭოთა კავშირში 300,000. მანეთს.

**სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა საოპერაციო მაგიდიდან.**

ამერიკულ და ინგლისურ გაზეთებში დაიბეჭდა მეტად საყურადღებო და საინტერესო ცნობა, არა ჩვეულებრივი ოპერაციის შესახებ, რომელიც გაუკეთებია ხირურგ მეიერს.

საავადმყოფოში მიყვანილ ავადმყოფს, რენტგენის სხივებით გასინჯვის დროს აღმოაჩნდა ტყვია გულში. ავადმყოფის უნუგეშო მდგომარეობის გამო გადასწყვიტეს მოეხდინად ოპერაცია. გასჭრა რა მკერდი მეიერმა სრულიად ამოიღო ავადმყოფის გული დაიკავა ხელში, გასჭრა-ამოიღო იქედან ტყვია, შემდეგ გაჰკერა და ჩასდვა მკერდში თავის ადგილზე.

ამ ოპერაციის დროს გულმა შესწყვიტა ცემა და ავადმყოფიც გარდიცვალა, მაგრამ როგორც კი ჩადებული იქნა გული თავის ადგილზე და გაუკეთეს მასაჟი, გულმა ისევ დაიწყო მოძრაობა და ავადმყოფიც გაცოცხლდა.

პირველობა ამ სასწაულ მოქმედებაში ეკუთვნის არა ამერიკას, არამედ რუსეთს. მოსკოვის ცნობილ ხირურგის გერცენის სიტყვით, ასეთი ოპერაცია პირველად მსოფლიოში მოახდინა რუსეთის ქირურგმა მანტეიფელმა. ასეთივე ხასიათის რამოდენიმე ოპერაციები გაუკეთებია თვით ქირურგ გერცენს დამეორე მოსკოველ ქირურგ პროფ. ოპპელეს.

**რადიო მიმღები აპარატები ყრუებისათვის.**

რადიო გაზეთის ცნობით, ამერიკელ ერთ ინჟენერს გამოუგონია რადიო მიმღები აპარატები, რომლებსაც მშვენივრად ხმარობენ ყრუები.

ამ აპარატებში მეტის მეტად ძლიერდება ბგერები და ყრუც ადვილად გებულობს მათ. მაგალითად იმდენად გაძლიერებულია ბგერები აპარატში, რომ იატაკზე დაცემული ნემსის ხმაური გეჩვენებათ ის თითქოს აგური დაცემულიყოს მასზე.

## პასუხი შეკითხვებზე.

**შეკითხვა.** გთხოვთ გვიპასუხოთ შემდეგზე: არის თუ არა წითელ არმიელებისთვის დაარსებული სამეურნეო სასწავლებელი და ღებულობენ თუ არა მასში მომზადებულ წითელ არმიელებს და თუ ღებულობენ რა პირობებში?

წ. არმ. **რაჟდენ ბეჭვაია.**

**პასუხი.**

ასეთი სასწავლებელი არ არსებობს.

**შეკითხვა.** სანამდე უნდა იმსახუროს იმ წითელ არმიელმა, რომელიც დაბადებულია 1901 წელში, მოწაფეობის გამო დარჩენილი იყო და გამოწვეული იქნა 1924 წ. ოქტომბრიდან?

წ. არმ. **სერ. ფულია.**

**პასუხი.**

განთავისუფლდება ორი წლის სამსახურის შემდეგ.

**შეკითხვა.** 1924 წ. რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს № 937 ბრძანება და კავკასიის წითელ დროშოვან არმიისადმი № 370 ბრძანება, რომლებიც ეხებიან 1901 წელში და ზევით დაბადებულთა უვადო შვებულებაში გაშვებას წ. წლის პირველი ოქტომბრიდან, გაანთავისუფლებენ თუ არა 1900 წელში დაბადებულ წითელ არმიელს, რომელიც გამოწვეულია სამხედრო ბეგრის მოსახდელად 1902 წლიანებთან ერთად 1924 წ. 25 მაისიდან?

წ. არმ. **მეტრეველი.**

**პასუხი.**

ასეთი არმიელები განთავისუფლებული უნდა იქნას საერთო წესით ე. ი. 2 წლის სამსახურის შესრულების შემდეგ თუ ისინი მსახურობენ ქვეითა ჯარში.

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ამხ. რედაქტორო!**

გაზ. „წითელ-არმიელის" № 46-ში, პირველი ლეგიონის კლუბის უფროსი ამხ. ვ. სიხარულიძე, ჩემს მიერ მოთავსებულ შენიშვნის გამო მიწვევს სამედიატორო სასამართლოში. მე სიამოვნებით მივყვები გამოწვევას.

სასურველი იქნებოდა, რომ ამხ. ვ. სიხარულიძე თვითონაც დაასახელებდეს თავის მხრივ სასამართლოს წევრებს. ყოველ შემთხვევაში მისი წინადადების თანახმად ჩემის მხრივ სასამართლო წევრებად ვასახელებ შემდეგ პირებს: პოლიტგანის ნაწილის ინსტრუქტორს ამხ. მ. ქადაგიშვილს, პირველი ლეგ. სამხკომს ამხ. ბაახიას და პირველი დივიზ. წით. არმ. ამხ. სიხარულიძეს. მოწმეებათ კი ვასახელებ შემდეგ ამხანაგებს: პოლიტგანის საორგანიზაციო ნაწილის მდივანს ასათიანს, ამავე პოლიტგანის საქმის მწარმოებელს კვირინაძეს და პირველი დივიზიის რემედასის ტეხნიკურ მდივანს გიორგაძეს.

სასამართლოს სხდომა დანიშნულია პოლიტგანყოფილების შენობაში 6 მარტს საღამოს 6 საათზე.

**შემთხვევით შესული წ. არმიელი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე